სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია

2024 წელი, ბათუმი

სსიპ - კოლეჯის ,,ბლექსი“ კურსდამთავრებულთა კვლევის

მეთოდოლოგია

1. კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს სსიპ - კოლეჯის ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას გააჩნია მიზნები:
   - ❖ შესწავლილი იქნას, თუ როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში, ასევე, დაწესებულებამ შეისწავლოს სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა.
3. კურსდამთავრებულთა კვლევას ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ორ ეტაპად, პირველი ეტაპი ხორციელდება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 12 თვისა, ხოლო მეორე ეტაპი კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 36 თვისა.
4. კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს წარმოადგენს (კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 12 თვისა) ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა:
   - ❖ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
   - ❖ პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
   - ❖ კოლეჯის ადამიანური რესურსის შეფასება;
   - ❖ კოლეჯის მატერიალური რესურსების შეფასება;
   - ❖ კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
   - ❖ დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
   - ❖ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
   - ❖ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
5. ხოლო, კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 36 თვის ფარგლებში კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:
   - ❖ კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/ თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
   - ❖ პროგრამის ფარგლებში/ კოლეჯში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნა, უნარები და ღირებულებების შეფასება.
6. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.
7. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად დანართის №1 და დანართი №2 სახით წარმოდგენილი კითხვარების საშუალებით.
8. კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის (Google Forms) საშუალებით ასევე, შესაძლებელია კვლევა ჩატარდეს სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით.
9. შემუშავებული კითხვარი კურსდამთავრებულს **(სამიზნე ჯგუფი - კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 12 თვისა)** ეგზავნება ელექტრონული ფოსტისა და სხვა სოციალური ქსელის მეშვეობით და მიეცემა 3 დღე მის შესავსებად, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულები არიან, როგორც ელექტრონულად, ასევე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით, ხოლო სამიზნე ჯგუფში - კვალიფიკაციის მინიჭებიდან არაუმეტეს 36 თვისა კვლევა შესაძლოა ჩატარდეს, როგორც ელექტრონული კითხვარის ასევე, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.
10. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას იღებს კოლეჯის თითოეული პროგრამის ყველა კურსდამთავრებული.

11. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის თითოეული პროგრამის კურსდამთავრებულთა მინიმუმ 80%.
12. კურსდამთავრებულებს მიეწოდებათ ინფორმაცია კვლევის მიზანს, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროსთან დაკავშირებით.
13. სავალდებულოა კურსდამთავრებულს მიეწოდოს ინფორმაცია კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული.
14. კურსდამთავრებული უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში.
15. კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად. კითხვარების დამუშავების შემდეგ მზადდება დასკვნა.
16. პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა კვლევის მასალების ანალიზი წარმოდგენილი უნდა იქნას კვლევის ჩატარებიდან არაუმეტეს ერთ თვეში.
17. კითხვარის შეთანხმება ხდება დირექტორის მოადგილესთან, საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება.
18. კითხვარი განთავსებულია კოლეჯის ვებ - გვერდზე (www. blacksea.edu.ge/).

კვლევის კითხვარი

მოგესალმებით,

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა გამოკითხვაში. ჩვენ გვაინტერესებს თქვენი მოსაზრებები პროგრამის შესახებ და გამოცდილება მისი დასრულების შემდეგ. კვლევა კონფიდენციალურია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას გააჩნია ორი ძირითადი მიზანი: შესწავლილი იქნას: როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში და დაწესებულებამ შეისწავლოს სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა.

კითხვარში არ არსებობს „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი აზრი ყველა დეტალის შესახებ. კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ 15 -20 წუთი. კითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს: **ტელეფონი და ელ-ფოსტა.** წინასწარ დიდ მადლობას გიხდით მხარდაჭერისა და პროგრამის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის.

1. **რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეთ?** .....

2. **სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რა იყო თქვენი მოლოდინი პროგრამის შესახებ?** (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)
   - მივიღებდი პროფესიულ ცოდნას
   - მივიღებდი პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებას
   - გავიგებდი, სამომავლოდ სად შეიძლება ჩემი პროფესიით დავსაქმდეთ
   - გავიცნობდი მომავალ კოლეგებს
   - გავხდებოდი ჩემი საქმის პროფესიონალი
   - სხვა **(მიუთითეთ.....)**

3. **პროგრამაზე სწავლისას, გიფიქრიათ თუ არა სწავლის მიტოვებაზე?**
   - დიახ (გთხოვთ, უპასუხოთ მომდევნო N4 კითხვას)
   - არა (გთხოვთ, გამოტოვოთ მომდევნო კითხვა)

4. **გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის მიზეზები, რის გამოც განიხილავდით სწავლის შეწყვეტას. გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი**
   - პროგრამა არ შეესაბამოდა ჩემს მოლოდინებს
   - სასწავლო პროგრამა ვერ პასუხობდა ბაზრის მოთხოვნებს
   - ოჯახური მიზეზების გამო
   - სწავლის დროს დავსაქმდი
   - სასწავლო პროგრამის დაძლევა მიჭირდა
   - ბინის ქირისა და კომუნალურების გადახდა მიჭირდა
   - ტრანსპორტირების პრობლემა
   - სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)

5. **პროფესიულმა საგანმანათებლო პროგრამამ გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინი მის მიმართ?**
   - მთლიანად გაამართლა
   - ნაწილობრივ გაამართლა
   - არ გაამართლა **(მიუთითეთ მიზეზი)**

6. ახლა რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?
   - დიახ
   - არა

   თუ №6 შეკითხვას უპასეთ ,,არა " მიუთითეთ მიზეზი

   ---

7. **ახლა რომ აბარებდეთ აირჩევდით თუ არა ისევ ამავე კოლეჯს?**
   - დიახ
   - არა

   თუ №7 უპასუხეთ ,,არა " მიუთითეთ მიზეზი

   ---

8. **როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში?**
   - ძალიან კარგი
   - კარგი
   - დამაკმაყოფილებელი
   - ცუდი
   - ძალიან ცუდი
   - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
9. **როგორ შეაფასებდით კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას?**
   - ობიექტური/სამართლიანი
   - არაობიექტური/არასამართლიანი
   - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
10. **როგორ შეაფასებდით სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას (სასწავლო მასალები, სახელმძღანელოები, ლაბორატორია და სხვ.)**
    - ძალიან კარგი
    - კარგი
    - დამაკმაყოფილებელი
    - ცუდი
    - ძალიან ცუდი
    - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
11. **დაცული იყო თუ არა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უსაფრთხოების ნორმები?**
    - დაცული იყო
    - არ იყო დაცული

თუ თქვენ უპასუხეთ „არ იყო დაცული“ გთხოვთ, დააკონკრეტოთ

.....

12. **როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს დუალური პროგრამის ფარგლებში პარტნიორ კომპანიაში?** (თუ თქვენ არ ხართ დუალური პროგრამის კურსდამთავრებული გადადით №13 კითხვაზე)
    - ძალიან კარგი
    - კარგი
    - დამაკმაყოფილებელი
    - ცუდი
    - ძალიან ცუდი
    - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
13. **როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში გავლილ საწარმოო პრაქტიკას ?** (თუ თქვენი პროგრამა არ ითვალისწინებდა საწარმოო პრაქტიკას გადადით №14 კითხვაზე)
    - ძალიან კარგი
    - კარგი
    - დამაკმაყოფილებელი
    - ცუდი
    - ძალიან ცუდი
    - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
14. **კოლეჯში დაცული იყო თუ რა თქვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები?**
    - დიახ
    - არა

თუ თქვენ უპასუხეთ „არა“ გთხოვთ, დააკონკრეტოთ .....

15. **იღებდით თუ არა კოლეჯისაგან სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად?**
    - დიახ
    - არა
    - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
16. **გიწევდათ თუ არა კოლეჯის ადმინისტრაცია გონივრულ ვადაში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას“ (გონივრულ ვადებში გიგვარებდნენ თუ არა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს)**
    - დიახ
    - არა
    - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
17. **უზრუნველყოფილი იყო თუ არა კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა?**
    - დიახ
    - არა
    - არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
18. **ირებდით თუ არა კოლეჯში ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან**

და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე სწორი პასუხი)

- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა საინფორმაციო დაფაზე
- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა ვებ - გვერდზე
- ვაკანსიები ქვეყნდებოდა/ქვეყნდება სხვადასხვა სოციალურ ქსელში (Messenger, Facebook, Whatsapp))
- კოლეჯს არ აქვს მსგავსი მომსახურების სერვისი
- სხვა ..... (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

19. **უწევდა თუ არა კოლეჯი ორგანიზებას/მხარდაჭერას ისეთი ტიპის ღონისძიებებს რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმებას?**
    - დიახ
    - არა
    - სხვა..... **(შეგიძლიათ ჩაწეროთ)**

20. **პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა?**
    - დიახ
    - არა
    - სწავლის დაწყებამდე მქონდა ანაზღაურებადი სამუშაო

21. **რას საქმიანობთ ამჟამად? (შესაძლებელია დააფიქსიროთ მაქსიმუმ ორი ძირითადი საქმიანობა)**
    - სწავლობთ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
    - მუშაობთ
    - ხართ თვითდასაქმებული
    - ხართ სტაჟიორი/შეგირდი
    - ხართ დაუსაქმებელი

22. **თუ თქვენ ხართ ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებული, გთხოვთ, უპასუხოთ განაგრძეთ თუ არა სწავლა უმაღლეს სასწავლებელში ?**
    - დიახ
    - არა

23. **მუშაობთ თუ არა გამოკითხვის მომენტში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით? თუ ,,დიახ" გადადით №24 კითხვაზე**
    - დიახ
    - არა

24. **გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ/მუშაობდით თქვენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით? (შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი, თუ ისინი ლოგიკურ წინააღმდეგობაში არ მოდის ერთმანეთთან)**
    - არასაკმარისი კვალიფიკაცია მქონდა
    - ხელფასი იყო არადამაკმაყოფილებელი
    - სამუშაო გრაფიკი იყო არადამაკმაყოფილებელი
    - სამუშაო საათები (მუშაობისთვის განკუთვნილი დრო) იყო არადამაკმაყოფილებელი

- შრომის უსაფრთხოების პირობები არ იყო დაცული
- სამსახური შორს იყო საცხოვრებელი ადგილიდან
- სხვა.....(შეგიძლიათ ჩაწეროთ)

25. ქვემოთ ჩამოთვლილია სხვადასხვა ვერსიები სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, აირჩიოთ თქვენთვის შესაბამისი ყველა პასუხი.

- სამსახური დაიწყეთ დამოუკიდებლად (მოიძიეთ/მიიღეთ ინფორმაცია ინტერნეტის, ტელევიზიის, გაზეთისა და რადიოს მეშვეობით);
- სამსახურის დაწყებაში დაგეხმარათ ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები ან ოჯახის წევრები;
- სამსახური შემოგთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდით პრაქტიკას;
- სამსახური დაიწყეთ კოლეჯის დახმარებით
- ვმუშაობ იმ კომპანიაში სადაც ვსწავლობდი დუალური პროგრამის ფარგლებში
- სამსახური დაიწყეთ დასაქმების სახელმწიფო ცენტრის მეშვეობით;
- სამსახური დაიწყეთ დასაქმების კერძო სააგენტოს მეშვეობით.
- სხვა.....(შეგიძლიათ ჩაწეროთ)

26.* ეძებთ თუ არა ამჟამად სამუშაოს? თუ ,,დიახ"გადადით *№26 კითხვაზე

- დიახ
- არა

27. რატომ არ ეძებთ სამუშაოს? ახლა ჩამოგითვლით სხვადასხვა მიზეზს და გთხოვთ, გვითხრათ ყველა პასუხი, რომელიც შეგესატყვისებათ. (გთხოვთ აირჩიოთ არსებული მიზეზის შესაბამისი შესატყვისი პასუხები).

- აპირებთ სწავლის გაგრძელებას
- აპირებთ ჯარში მსახურებას
- გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები
- არ გაქვთ შესატყვისი ოჯახური პირობები
- არ გსურთ სამსახურის მოძებნა
- ხართ დასაქმებული სხვა სფეროში
- სხვა .....(შეგიძლიათ ჩაწეროთ)

28. როგორ ფიქრობთ, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს? ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა მიზეზებიდან გთხოვთ, მონიშნოთ ყველა პასუხი რომელიც შეგესატყვისებათ.

- არ გაქვთ საკმარისი კვალიფიკაცია
- არ გაქვთ ძირითადი უნარები (მაგ. უცხო ენებზე საუბრის, კომპიუტერის გამოყენების, სხვებთან ურთიერთობის და ა.შ.)
- არ გაქვთ საკმარისი გამოცდილება
- თქვენს პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა
- სხვა.....(შეგიძლიათ ჩაწეროთ)

29. კოლეჯის დასრულებიდან დღემდე გიმუშავიათ თუ არა მინიმუმ ერთი თვე პროფესიით? (უპასუხეთ კითხვას იმ შემთხვევაში თუ ამ ეტაპზე ხართ დაუსაქმებელი)

- დიახ
- არა

30. თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება

ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას?

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

31. გთხოვთ, ჩამოწეროთ საკითხები რომელიც არ არის მითითებული წინამდებარე კითხვარში და კოლეჯმა უნდა იზრუნოს მათ გაუმჯობესებაზე.

.....

.....

.....

დანართი №2

სსიპ - კოლეჯის „ბლექსი“ კურსდამთავრებულთა

კვლევის კითხვარი

(კვალიფიკაციის მინიჭებიდან 36 თვე)

1. **რომელია თქვენი სტატუსი ამჟამად? გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი.**
   - დასაქმებული იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეთ
   - თვითდასაქმებული/ფრილანსერული სამუშაო (მაგ: საკუთარი ბიზნესი/მომსახურება) იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარეთ
   - დასაქმებული სხვა მიმართულებით
   - თვითდასაქმებული/ფრილანსერული სამუშაო (მაგ: საკუთარი ბიზნესი/მომსახურება) სხვა მიმართულებით
   - არ ვარ დასაქმებული
   - სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ) .....

2. **გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სამუშაოს დასახლება (მაგ. მშენებელი, ხელოსანი, ელექტრიკოსი, მზარეული, მიმტანი, სასტუმროს ადმინისტრატორი, კონდიტერი, IT ადმინისტრატორი)**

   ---

3. **რამდენად ხშირად იყენებთ/გამოგადგათ თქვენს ამჟამინდელ სამსახურში პროგრამაზე სწავლისას მიღებულ ცოდნა და უნარები?**
   - მეტწილად გამომადგა/ვიყინებ
   - ნაწილობრივ გამომადგაა/ვიყინებ
   - არ გამომადგა/არ ვიყინებ

4. **იმ შემთხვევაში, თუ არ ხართ დასაქმებული რა არის ამის მიზეზი?**

   ---

5. **ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის ცვლილებებს გეგმავთ თქვენს შემდგომ კარიერულ განვითარებაში?**
   - სამსახურის შეცვლა
   - სწავლის ხელახლა დაწყება, კოლეჯში (სხვა მიმართულებით)
   - სწავლის გაგრძელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (იგივე მიმართულებით)
   - სწავლის გაგრძელება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სხვა მიმართულებით)
   - საკუთარი ბიზნესის დაწყება
   - არ ვაპირებ ცვლილებებს

6. **ჩამოთვლილთაგან, რა ტიპის კონტაქტი/კავშირი გაქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან? გთხოვთ, მონიშნოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი**

- ელექტრონული ფოსტით მიმოწერა
- კურსდამთავრებულთა შეხვედრები
- კოლეჯის მიერ დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება
- კურსდამთავრებულთა სხვადასხვა ჯგუფის წევრობა
- პროფესიული თანამშრომლობა (კონსულტაციები, სწავლება და

სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ) .....